European Bank for Reconstruction and Development

GCF GEFF რეგიონალური - საქართველო - MFO Crystal სესხი I

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	55675
ბიზნეს სექტორი:	არასადეპოზიტო კრედიტი (არასაბანკო)
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	FI
სასურველი დამტკიცების თარიღი:	17 დეკემბერი 2024
სტატუსი:	დაფარვის პროცესში
PSD გაზიარდა:	30 დეკემბერი 2024

პროექტის აღწერა

ს.ს. MFO Crystal-სთვის („კრისტალი“) 2,0 მლნ აშშ დოლარამდე (ევრო 1,9 მლნ) არაუზრუნველყოფილი სესხი, საიდანაც 75%-ს (1,5 მლნ აშშ დოლარი) გასცემს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და 25%-ს (0,5 მლნ აშშ დოლარი) მწვანე კლიმატის ფონდი ("GCF"), GCF მწვანე ეკონომიკის დაფინანსების ფონდის ("GEFF") რეგიონული პროგრამის ფარგლებში.

პროექტის მიზნები

სესხი გამოიყოფა კერძო სექტორის ქვემსესხებლების (ფიზიკური პირები და MSME) დაფინანსებისთვის, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიებსა და სერვისებში ინვესტიციებისთვის, GCF-GEFF რეგიონული ჩარჩო პოლიტიკის სტანდარტებისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად. გარიგება გააუმჯობესებს „კრისტალის“ შესაძლებლობას მწვანე დაფინანსებისა და პროდუქტების შეთავაზების კუთხით, გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ETI 65
პროექტი მხარს უჭერს “მწვანე” ეკონომიკაზე გადასვლას დაფინანსებისა და ცოდნისა და

გამოცდილების უზრუნველყოფით ფინანსური შუამავლებისთვის, რომლებიც აფინანსებენ კერძო სექტორის ინვესტიციებს კლიმატის ცვლილების ეფექტიანი შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების სფეროში. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს დაბალ ნახშირბადიანი და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრად ეკონომიკაზე გადასვლას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

მიკრობანკი კრისტალი

ს.ს. MFO Crystal არის წამყვანი არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც ძირითადად მუშაობს სოფლად და ორიენტირებულია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე (MSMEs), ასევე სოფლის მეურნეობის სექტორზე.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

1,500,000.00 დოლარი.

პროექტის მთლიანი ღირებულება

2,000,000.00 დოლარი.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2019). MFO Crystal EBRD-ის ახალი კლიენტია. გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) წინასწარი კვლევა ჩატარდა კითხვარის განხილვის, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და კლიენტთან შემდგომი კომუნიკაციის საფუძველზე. "კრისტალი" იცავს IFC შესრულების სტანდარტებს E&S რისკების მართვისთვის, აქვს დამტკიცებული E&S პოლიტიკა, რომელიც განახლების ეტაპზეა და ვებგვერდზე გამოქვეყნებულია წლიური ანგარიშები E&S შესრულების ჩათვლით. MFO Crystal Smart Campaign-ის, გლობალური ინიციატივის, ხელმომწერია, პასუხისმგებელი ფინანსური სერვისების უზრუნველსაყოფად ნაკლებად პრივილეგირებული მომხმარებლებისთვის. MFO Crystal-მა უნდა შეინარჩუნოს E&S მართვის სისტემა, რათა შეაფასოს, მართოს და მონიტორინგი გაუწიოს გარემოს დაცვისა და სოციალურ რისკებს და ზემოქმედებს, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ დაფინანსებულ ქვეპროექტებთან. MFO Crystal ვალდებულია შეასრულოს EBRD-ის შესრულების მოთხოვნები (PRs) 2, 4 და 9, გამორიცხვისა და რეფერალური სიების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია EBRD-ის 2019 წლის E&S პოლიტიკაში. ასევე, უნდა შეასრულოს EBRD-ის E&S რისკის მართვის სახელმძღვანელო მითითებები და წარუდგინოს წლიური E&S ანგარიშები ბანკს. MFO Crystal-ის სესხით დაფინანსებული ქვემსესხებლები უნდა ასრულებდნენ ეროვნულ გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომით მოთხოვნებს.

თუ EBRD-ის დაფინანსება შეიძლება გამოყენებულ იქნას მზის ქვეპროექტების დასაფინანსებლად, ეს ქვეპროექტები წარიმართება „მზის მიწოდების ჯაჭვის რისკის მართვის შემოთავაზებული მენეჯმენტის მიდგომის" (CS/FO/21-35) და ამ მიდგომის მიხედვით შემუშავებული ნებისმიერი შემდგომი სახელმძღვანელოს თანახმად.

ტექნიკური თანამშრომლობა

TC: პროექტი მხარდაჭერილია TC პაკეტით დაფინანსებული ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს (BMF) და GCF-ის მიერ. TC-ის მიზანია დაეხმაროს "კრისტალს" შესაძლებლობების განვითარებაში, განხორციელებასა და პროგრამის მონიტორინგში. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტანტი შეაფასებს და გადაამოწმებს ქვემსესხებლების მიერ ინვესტიციების ტექნიკურ განხორციელებას. კონსულტანტი გაუზიარებს ცოდნას და აამაღლებს ცნობიერებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიების შესახებ საცალო კლიენტებთან და MSME-ებთან მუშაობისას და ასევე დაეხმარება პროექტების შეფასებაში და კონსულტაციას გაუწევს ქვემსესხებლებს საუკეთესო ტექნოლოგიურ ვარიანტებთან დაკავშირებით. გენდერული აქტივობები მოიცავს PFI-ს პერსონალის გადამზადებას გენდერთან დაკავშირებული მოთხოვნისა და მიწოდების გამოწვევებზე რეაგირებისათვის.

შერეული შეღავათიანი დაფინანსება: პროექტი მხარდაჭერილია არა-TC საგრანტო დაფინანსებით მწვანე კლიმატის ფონდიდან (GCF) შეღავათიანი თანადაფინანსების სახით. საკრედიტო ხაზი შედგება EBRD ნაწილისგან (75%) და GCF ნაწილისგან (25%),1.5 მილიონი აშშ დოლარი და 0.5 მილიონი აშშ დოლარი, შესაბამისად.

დამატებითი ფაქტორები

პროექტის ფარგლებში დამატებითი ფაქტორებია:

დაფინანსების სტრუქტურა - EBRD უზრუნველყოფს ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებას ბაზარზე ნაკლებად ხელმისაწვდომი პირობებით და **ტენორით**, რაც საბაზრო საშუალოზე მეტია და აუცილებელია პროექტის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად.

ინოვაციური დაფინანსების სტრუქტურები და/ან ინსტრუმენტები - EBRD უზრუნველყოფს ინოვაციურ მწვანე საფინანსო ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს ასპექტებს, როგორიცაა კლიმატი და გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) სტანდარტები და/ან კლიმატის და ESG რისკის გათვალისწინება დაფინანსების სტრუქტურაში.

სტანდარტების განსაზღვრა - EBRD-ის ცოდნითა და გამოცდილებით პროექტის მხარდაჭერის გზით, ინკლუზიისა და გენდერული უფრო მაღალი სტანდარტებსა და/ან თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით (მაგ. ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მწვანე ფინანსებზე).

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ილია რევია
info@crystal.ge
+995 32 202 2020
https://ir.crystal.ge/
თბილისი, ა.წერეთლის 118, მე-10 პავილიონი

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების

შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).
IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.